

პირველია ვულფი • ორლანდო



ვირჯინია ვულფი

# ორლანდო

ინგლისურიდან თარგმნა  
ლელა დუმბაძემ



გაქურსულაქაურის  
გამომცემლობა

## შინაარსი

წინათქმა .....	7
კარი პირველი .....	9
კარი მეორე .....	55
კარი მესამე .....	103
კარი მეოთხე .....	133
კარი მესამე .....	195
კარი მეთექვსე .....	229

## წინათქმა

ამ წიგნის დაწერაში ბევრი მეგობარი დამეხმარა. მათგან ზოგი ცოცხალი აღარ არის და ისეთი სახელოვანია, რომ მერიდება კიდევ დასახელება, თუმცა შეუძლებელია, რომ ადამიანი, რომელიც კითხულობს ან წერს, გამუდმებით არ გრძნობდეს თავს მათგან დავალებულად – დეფო, სერ თომას ბრაუნი, სტერნი, სერ უოლტერ სკოტი, ლორდი მაკოლეი, ემილი ბრონტე, დე ქუინსი და უოლტერ პეიტერი – ეს ისაა, რაც პირველი ამომიტივტივდა გონებაში. დანარჩენები ცოცხლები არიან და, შესაძლოა, არანაკლებ ბრწყინავენ თავიანთ სფეროში, მაგრამ ამავე მიზეზით ნაკლებად მიუწვდომლები არიან. განსაკუთრებით დავალებულად ვგრძნობ თავს მისტერ ჩ.პ. სენგერი-საგან, რადგან მისი ღრმა ცოდნა რომ არა უძრავი ქონების სფეროში, ეს წიგნი ვერ დაინერებოდა. მისტერ სიდნი-თერნერის ფართო და სპეციფიკურმა ერუდიციამ კი, იმედი მაქვს, უხეში შეცდომებისგან მიხსნა. ბედნიერება მქონდა – და მხოლოდ მე შემიძლია დავაფასო, რაოდენ დიდი – მისტერ ართურ უეილის ჩინური ენის ცოდნით მესარგებლა. მაღამ ლოპოკოვა (მისიზ ჯ.მ. ქინზი) მუდამ ხალისით მისწორებდა რუსულს. ხოლო თუკი რამ გამეგება ფერწერის ხელოვნებაში, მისტერ როჯერ ფრაის სწორუპოვარ თანადგომასა და წარმოსახვის უნარს უნდა ვუმადლოდე. ჩემს ნაშრომს, ვფიქრობ, ჩემი დისწულის, მისტერ ჯულიან ბელის ცოტა არ იყოს მკაცრმა კრიტიკამაც დიდად არგო. არც მის მ.კ. სნოუდონის მიერ ჰაროგეთის და ჩელთნემის არქივებში განეული შრომატევადი კვლევა გამოდგა ფუჭი. სხვა მეგობრებმა კი იმდენნაირი დახმარება გამინიეს, ვერც დავაკონკრეტებ. ამიტომ მათი სახელების ჩამოთვლას უნდა დავჯერდე: მისიზ ქართრაითი; მის ჯენეთ ქისი; ლორდი ბერნერსი

(დედოფალი ელისაბედის ეპოქის მუსიკის მისეული ღრმა ცოდნა ფასდაუდებელი აღმოჩნდა ჩემთვის); მისტერ ფრენსის ბირელი; ჩემი ძმა, დოქტორი ედრიან სტივენსი; მისტერ ფ.ლ. ლუკასი; მისტერ და მისიზ დეზმონდ მაქართი; კრიტიკოსთაგან ყველაზე შთამაგონებელი, ჩემი სიძე, მისტერ ქლაივ ბელი; მისტერ ჯ.პ. რაილენდზი; ლედი ქოულფექსი; მის ნელი ბოქსელი; მისტერ ჯ.მ. ქინზი; მისტერ ჰიუ დიკინსონი; მისი აღმატებულება ედვარდ სექვილ უესტი; მისტერ და მისიზ სენტ-ჯონ ჰათჩინსონი; მისტერ დანქენ გრანტი; მისტერ და მისიზ სტივენ ტომლინი; მისტერ და ლედი ოტოლან მორელი; ჩემი დედამთილი, მისიზ სიდნი ვულფი; მისტერ ოზბერტ სითველი; მადამ ჟაკ რავერა; პოლკოვნიკი ქორი ბელი; მის ველერი ტეილორი; მისტერ ჯ.თ. შეფარდი, მისტერ და მისიზ თ.ს. ელიოტი; მის ითელ სენდზი; მის ნენ ჰადსონი; ჩემი დისწული, ქუენთინ ბელი (მრავალნაცადი და ძვირფასი დამხმარე მხატვრულ ლიტერატურაში); მისტერ რეიმონდ მორტიმერი; ლედი უელზლი; მისტერ ლითნ სტრეიჩი; ვიკონტესა სესილი; მის ჰოუფ მირლიზი; მისტერ ი.მ ფორსტერი; მისი აღმატებულება ჰაროლდ ნიკოლსონი; და ჩემი და, ვანესა ბელი – ოღონდ ამ სიას ბოლო არ უჩანს და უკვე ზომაზე მეტად ბრწყინვალეა. ხოლო ჩემში თუ მხოლოდ სასიამოვნო მოგონებებს აღძრავს, მკითხველს აუცილებლად გაუღვივებს ისეთ მოლოდინს, რომლის გაცრუება მხოლოდ ამ წიგნს შეუძლია. ამიტომ აჯობებს, დავასრულო და დიდი მადლობა ვუძღვნა ბრიტანეთის მუზეუმის და სახელმწიფო არქივის მესვეურთ ჩვეული თავაზიანობისთვის; ჩემს დისწულს, მის ანჯელიკა ბელს სამსახურისთვის, რომელსაც მის გარდა ვერავინ გამინევდა; ჩემს ქმარს კი – მოთმინებისთვის, რომლითაც ის დაუზარებლად ეკიდებოდა ყოველ ჩემს კვლევას, და განუზომელი ისტორიული განათლებებისთვის, რომელსაც, თუ რამ სიზუსტით აისახა ამ წიგნის ფურცლებზე, მხოლოდ მას უნდა ვუმადლოდე. დაბოლოს, მადლობას ვეტყვოდი – ასავალ-დასავალი რომ არ დამეკარგა – ერთ ჯენტლმენს ამერიკაში, რომელმაც უანგაროდ და დიდი გულისყურით შეასწორა პუნქტუაცია, ბოტანიკური, ენტომოლოგიური, გეოგრაფიული ტერმინები ჩემს ადრინდელ ნაწარმოებებში და იმედაა, ამ შემთხვევაშიც მოიღებს მონყალებას.

კარი პირველი



ვაჟი – ვინაიდან მისი სქესი არანაირ ეჭვს არ ბადებდა, მიუხედავად იმჟამინდელი სამოსის თარგისა, რომელიც უდავოდ ქმნიდა ერთგვარ ორპროვინებს – გამალებით უტევდა სატევრით ნივნივებიდან ჩამოკონწიალებული მავრის თავს; ფერით და იერით ის ფეხბურთის გაცვეთილ ბურთს ნააგავდა, თუ არ ჩავთვლით ჩაცვნილ ლოყებს და ორიოდ შემხმარ, ხეშეშ ღინღლს, ქოქოსის კაკლის ბუსუსების მსგავსს. ორლანდოს მამამ, ან იქნებ პაპამ, ის მხრებიდან წარკვეთა ერთ ახოვან წარმართს, რომელმაც აფრიკის ბერბერთა მთვარით გასხვიოსნებულ ტრამალებზე აიდგა ფეხი. ახლა კი ირწეოდა ნაზად, დაუსაბამოდ, ნიავეში, დღენიადაგ რომ ქროდა იმ ლორდის კოლოსალური სასახლის სხვენში, ვინც სიცოცხლე მოუსწრაფა მავრს.

ორლანდოს მამებმა ცხენებით გადასერეს ასფოდელოების ველეები, კლდოვანი ველეები, ველეები, მორწყული უცხო მდინარეებით; მრავალი ფერის თავი წარუკვეთიათ მრავალი მხრიდან და სამშობლოში ჩამოუტანიათ სხვენის ნივნივებზე ჩამოსაკიდებლად. და ორლანდომაც დაიფიცა, რომ თავადაც ამას იზამდა. მაგრამ, რადგან ჯერ მხოლოდ თექვსმეტი წლის იყო და, ამდენად, ჯერ კიდევ მოზარდი, მათთან ერთად აფრიკის თუ საფრანგეთის დასალაშქრავად, ფარშევანგების ბალიდან დაუძვრებოდა ხოლმე დედას და ადიოდა სხვენში, თავის ოთახში; და იქ იქნევდა, აპობდა, ასობდა ხმალს ქროლვით ჰაერში. ზოგჯერ თოკი გადაუჭრია ისე, რომ თავის ქალა იატაკს დანარცხებია და იძულებული გამხდარა, ისევ თოკზე მიემაგრებინა და რაინდული სულისკვეთებით, თითქმის ხელშეუვლებლად შეუ-



ბამს განყვეტილ თოკზე, და მოსისხლე მისი, გამარჯვებული იერით ულრეჯდა დამჭკნარი ტუჩებით. თავის ქალა ქანქარებდა აქეთ და იქით, რადგან ის სახლი, რომლის სხვენშიც დაუდეს ბინა, იმხელა იყო, გეგონებოდათ, თავად ქარიც შიგ დამწყვდეულაო, და ქროდა, ქროდა, აქეთ და იქით, ზამთარ და ზაფხულ. გამუდმებით ირხეოდა მწვანე გობელენიც, ზედ გამოსახული მონადირეებითურთ.

ორლანდოს მამა-პაპა დიდებულები იყვნენ ოდიტგანვე. ჩრდილოეთის ნისლიდან გვირგვინოსნებად მოველინენ ქვეყანას. აკი წყვდიადის ზოლები ოთანში, ყვითელი გუბები, იატაკს გარდიგარდმო რომ კვეთდნენ, ისინიც ხომ საგვარეულო გერბის ვეება ვიტრაჟიდან შემოჭრილმა მზის სხივებმა შექმნეს! ორლანდო ახლა ჰერალდიკური ლეოპარდის ყვითელი სხეულის შუაგულში იდგა. როცა ხელი ფანჯრის გასაღებად რაფას დაადო, ის უმაღლ ნითლად, ცისფრად და ყვითლად შეეფერა პეპლის ფრთასავით. ასე რომ, ვისაც სიმბოლოები უყვარს და მათი ამოცნობა სწადია, ალბათ შეამჩნევდა, რომ, როცა ორლანდომ ფანჯარა გააღო, მისი ჩამოსხმული ფეხები, წარმოსადეგი აღნაგობა და მკვრივი მხრები ერთიანად ჰერალდიკური ნათების სხვადასხვა ფერით გაბრწყინდა, ხოლო სახეს თავად მზე ანათებდა მხოლოდ. ვერ ნახავდით მასზე წრფელ და პირქუშ სახეს. ბედნიერია დედა, მისი მშობელი, კიდევ უფრო ბედნიერია ჟამთააღმწერელი, რომელიც ასეთი ადამიანის ცხოვრებას აღწერს! დედას არასოდეს მოუწევს მის გამო ლელვა, არც თვითონ მოუწევს მწერლის თუ პოეტის მოხმობა დასახმარებლად. გმირობიდან გმირობამდე, დიდებიდან დიდებამდე, მიღწევიდან მიღწევამდე უნდა იაროს, კალმოსანი უნდა სდევდეს ფეხდაფეხ. ვიდრე არ ავლენ იმ სიმაღლემდე, რომლის დაპყრობასაც ესწრაფვიან. შესახედაობით ორლანდო სწორედ ამგვარი ცხოვრებისთვის იყო მოწოდებული. წითელი ლოყები ატმისებრ ღინღლს დაეფარა. ტუჩის თავზე ღინღლი ოდნავ უფრო ხშირი ჰქონდა, ვიდრე ლოყებზე. კოხტა და ოდნავ ზეაპობილი ტუჩები თლილ, ნუშისებრ, თეთრ კბილებს აჩენდა. უნაკლო იყო ისარივით წამახული მისი მოკლე ცხვირი; მუქი თმა, და კოხტა, თავზე მკვიდრად მორგებული ყურები. მაგრამ, რა ვუყოთ, რომ ყმანვილური სილამაზის ჩამონათვალი გვერდს ვერ აუვლის შუბლის და თვალების აღწე-

რას. რა ვუყოთ, რომ ადამიანები იშვიათად იზადებიან ამ სამეულის გარეშე; და როცა ორლანდოს პირდაპირ ვუყურებთ, ფანჯარასთან მდგომს, უნდა ვალიაოთ, მისი თვალები ახლად მორწყულ ორ იას ჰგავს, იმოდენას, გეგონებათ, წყალი ჩაგუბდა შიგ და გაუფართოვაო; ხოლო მისი შუბლი – ორ ბრტყელ მედალიონს, ანუ საფეთქლებს შორის მომწყვდეულ გუმბათს. თუ მის თვალებს და შუბლს პირდაპირ შევხედავთ, აღტაცებას ვერ დავმაღავთ. თუ მის თვალებს და შუბლს პირდაპირ შევხედავთ, იმის აღიარება მოგვინევს, რომ ვხედავთ ათას უხასიათობას, რის მიჩქმალვასაც ყოველთვის ცდილობს კარგი ჟამთააღმწერელი. ორლანდოს თვალს არ ეამებოდა ზოგი რამ, მაგალითად, დედამისის, უმშვენიერესი მანდილოსნის დანახვა, როცა მწვანე კაბაში გამოწყობილი, თუთიყუშების დასაპურებლად გამოდიოდა განუყოფელი მოახლე ტვიჩეტის თანხლებით გარეთ; ზოგი რამის ხილვა აღაგზნებდა – ფრინველების და ხეების; ხოლო საღამოს ბინდმა და ქილყავებმა, ბუდეებს რომ უბრუნდებიან – სიკვდილის სიყვარული ჩაუსახეს; და სპირალისებრი საფეხურების ავლით, ორლანდოს ტვინში – რომელიც ფრიად ტევადი გახლდათ – აღწევდა ყველა ეს ხილვა, ბალის ჰანგები, ჩაქუჩის ცემა, შეშის ჩეხვა, და აღძრავდა მასში ვნებებისა და განცდების იმგვარ ფორიაქს და შეცბუნებას, რომელიც არც ერთ გონიერ ჟამთააღმწერელს არ ეამება, მაგრამ განვარძოთ – ორლანდო თავს ნელა ჩარგავდა მხრებში, მიუჯდებოდა მაგიდას, და ნახევრად გააზრებულად აკეთებდა იმას, რასაც ადამიანები ყოველდღიურად აკეთებენ დღის ერთსა და იმავე დროს, იღებდა რვეულს წარწერით „ეთელბერტი: ტრაგედია ხუთ ნაწილად“ და ძველ, დასვრილ ბატის ფრთას მელანში აწობდა.

ათი გვერდი და მეტიც, ლექსებით ივსებოდა სულ მალე. სიტყვა წყალივით მოსდევდა, მაგრამ რთულად გასაგები იყო. მისი პიესის პერსონაჟები – მანკიერება, დანაშაული და სილატაკე, წარმოუდგენელი ტერიტორიების მეფეები და დედოფლები იყვნენ; მათ საზარელი შეთქმულებები უბნევდათ თავგზას; ამალღებულები გრძნობები სძლევენ; არც ერთ პერსონაჟს არ დასცდებოდა არც ერთი სიტყვა ისე, როგორც თავად ორლანდო იტყოდა ამას, მაგრამ ყველაფერს ისეთი სილაღითა და გულისხმიერებით აკეთებდა, რომ მისი ასაკის – მას

ხომ ჯერ ჩვიდმეტიც არ შესრულებოდა – და იმის გათვალისწინებით, რომ მეთექვსმეტე საუკუნე ჯერ არ მიწურულიყო, მართლაც ქებას იმსახურებდა. თუმცა ბოლოს შეწყვიტა წერა. როგორც ყველა ახალგაზრდა პოეტი, ის აღწერდა ბუნებას, და იმისათვის, რომ მწვანე ფერის შუქჩრდილის ზუსტი შესატყვისი მოენახა, პირდაპირ შეხედა (და ამით სხვებზე მეტი გაბედულება გამოავლინა) აღსაწერ საგანს, დაფნის ბუჩქს, რომელიც მისი ფანჯრის ქვეშ ხარობდა. ამის მერე, რა თქმა უნდა, ველარ შეძლო წერა. ბუნებაში მწვანე ერთია, ლიტერატურაში მწვანე – სულ სხვაა. ბუნებას და ასოებს თითქოს თანდაყოლილი ანტიპათია დაჰყვა. საკმარისია, ერთად მოუყარო თავი, რომ უმაღლეს ნაკუნებად აქცევენ ერთმანეთს. მწვანის შუქჩრდილმა, რომელიც ორლანდომ დაინახა, რითმა გაუფუჭა და ლექსის ზომა დაურღვია. მეტიც, ბუნებას თავისი საკუთარი ოინები აქვს. საკმარისია, ფანჯრიდან ყვავილებში მორუზრუზე ფუტკრებს, ანდა ძაღლებს გახედო, ჩამავალი მზის სხივებში რომ იზმორებიან, საკმარისია, გაიფიქრო – „ვინ იცის, კიდევ რამდენ მზის ჩასვლას ვნახავ“, და სხვადასხვა ასეთი (ეს ფიქრი იმდენად ცნობილია, რომ ჩანერას იმსახურებს), რომ მაშინვე ხელიდან გააგდებ კალამს, აიღებ მოსასხამს, ოთახიდან გახვალ და აუცილებლად წამოჰკრავ ფეხს მოხატულ სკივრს. ორლანდო ხომ, ცოტა არ იყოს, ტლანქი გახლდათ.

ფრთხილობდა, არ უნდოდა, ვინმეს გადაჰყროდა გზაზე. ბილიკზე სტაბსი მოაბიჯებდა, მებაღე. ორლანდო ხის უკან დაიმალა და დაელოდა, ვიდრე სტაბსი ჩაივლიდა. ბაღის გაღავნის პანია ქიშკარში გავიდა. შემოურბინა ყველა საჯინიბოს, ძაღლის ყველა ხუხულას, ყველა ლუდსახარმს, ყველა სადურგლოს, ყველა სამრეცხაოს, ადგილებს, სადაც საპონს და სანთელს ამზადებენ, ხარებს კლავენ, ცხენის ნალს ჭედავენ, ქურთუკებს კერავენ – რადგან მათი სახლი მთელი ერთი ქალაქი იყო, რომელშიც ფუსფუსებდნენ სხვადასხვა ხელობის ადამიანები – და აუყვა გვიმრით დაფარულ ბილიკს, რომელიც, უხილავი პარკისკენ ადიოდა. ადამიანის თვისებებს შორის ალბათ არსებობს რაღაც კავშირი; ერთი მეორეს იწვევს უთუოდ; და ჟამთააღმწერელმა ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიაპყროს იმას, რომ სიტლანქე ხშირად სიმარტოვის სიყვარულთანაა შეუღლებული. რაკი

ფეხი სკივრს წამოჰკრა, ორლანდოს, ბუნებრივია, უკაცრიელი ადგილები იზიდავდა, ვრცელი ხედები, რომ თავი ყოველთვის, ყველგან, მარადის, სულ მარტოდ ეგრძნო.

ასე რომ, კარგა ხნის სიჩუმის მერე, ბოლოს აღმოხდა, „მარტო ვარ“, და პირი პირველად გაალო ამის სათქმელად. აღმართი ისე მარდად აირბინა გვიმრის და კუნელის ბუჩქებს შორის, რომ ირმები და გარეული ფრინველები დააფრთხო, და შემალლებულ ადგილს მიაღწია, სადაც განმარტოებით მდგომი ბერმუხა იდგა. დიდ შემალლებაზე, ისე მალლა, რომ აქედან, როგორც ხელისგულზე, ინგლისის ცხრამეტი საგრაფოს ხედი იშლებოდა; უღრუბლო დღეს კი ოცდაათის ან ორმოცისაც, თუ ამინდი მზიანი იყო. ზოგჯერ ლა-მანშის სრუტესაც დაინახავდით – ასხმული ტალღების უღევ სიმრავლეს. მდინარეებიც ჩანდა და ზედ მოცურავე იალქნიანი ნავებიც; და ზღვაში შესაცურად გამზადებული გალეონებიც; და არმადებიც, კვამლის ბოლქვებით, რასაც ზარბაზნის ყრუ ზათეი მოჰყვებოდა ხოლმე; და ფორტები სანაპიროზე; და ციხე-ქალაქები მინდვრებზე; აქ – საგუშაგო კოშკი; იქ – ციხესიმაგრე; და აი, კვლავ უშველებელი სასახლე, ორლანდოს მამის სასახლესავით გალავნით შემოზღუდულ ხეობაში, ქალაქის მსგავსად შენობებით შემოჯარული. აღმოსავლეთით ლონდონის შპილები და ქალაქის ბული მოჩანდა; და როცა ქარი სათანადო მიმართულებით უბერავდა, შეიძლება თავად გოროზი სნოუდონის კლდოვანი და დაკბილული ფერდობებიც ამოზიდულიყო ზედ ცის კიდეზე, ღრუბლებიდან. ორლანდო წამით შეყოვნდა, აკვირდებოდა, ითვლიდა, არკვევდა. ეს მამამისის სახლია; ის – ბიძამისის. მამიდამისს კი ის ვეება კოშკები ეკუთვნის, აგე, იმ ხეებს შორის. მთელი ეს ყანებიც მათია და ტყეებიც; ხოხობი და ირემიც, მელია, მაჩვი და პეპლებიც.

ღრმად ამოიოხრა და დაენარცხა – მის მიხრა-მოხრაში ვნება იგრძნობოდა, მხოლოდ ეს სიტყვა ასახავს ამას – მთელი ტანით მინაზე გაიშოტა, მუხის ტოტებქვეშ. ორლანდოს უყვარდა ზაფხულის სწრაფმდინარების მიღმა, დედამინის ხერხემლის შეგრძნება ტანით; და ასეთად სწორედ ამ ბერმუხის სქელი ფესვი მიაჩნდა; ან, რაკი სურათს სურათი ცვლიდა, ეს შეიძლება დაკუნთული ცხენის ქედი ყოფილიყო, რომელსაც მიაჭენებდა ხოლმე, ან ჩასაძირად

განწირული ხომალდის გემბანი – სინამდვილეში სულ ერთია რა, ოღონდაც რამე მყარი, რადგანაც გრძნობდა, რალაც ისეთი სჭირდებოდა, რაზეც მოფრთხილე გულის შებმას შეძლებდა; გულისა, მკერდში რომ უბორგავდა; გულისა, რომელშიც თითქოს გრძნობის აღმძვრელი და სასიყვარულო ქარიშხალი ჩაუდგებოდა ხოლმე ყოველ საღამოს, სწორედ ამ დროს, როცა გარეთ გამოდიოდა. როცა აქ წვებოდა, გულს მუხის ხეს გამოაბამდა და ფრთხილი და ფორი-აქი თანდათანობით თავისთავად იწყებდა დაცხრობას; ფოთლები რხევას წყვეტდნენ, ირმები ირინდებოდნენ; ზაფხულის მკრთალი ღრუბლები უძრავად იდგნენ; კიდურები უმძიმდებოდა მინაზე; და ისე გაუნძრევლად იწვა, რომ თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ, ირმები მასთან მიახლოებას ბედავდნენ და ქილყვავები რიალს ტეხდნენ მის ირგვლივ და მერცხლები შურდულივით დაეშვებოდნენ ხოლმე ძირს, კამარას შეჰკრავდნენ, და თავზე ნემსიყლაპიები გადაუქროლებდნენ, და თითქოს ზაფხულის საღამოს ნაყოფიერება, და მთელი სატრფიალო შემართება ერთმანეთში ჩაიქსოვებოდა და აბლაბუდისებურად შემოგარსავდა მის ტანს ერთიანად.

აღბათ ასე, ერთი საათის შემდეგ, მზემ რომ ერთბაშად დაიწყო ჩასვლა, თეთრი ღრუბლები ალისფრად შეიფაკლა, გორები იასამნისფრად, ტყეები ძონისფრად შეიფერა, ხეობები კი ჩაშავდა – ბუკის ხმა შემოესმა. ორლანდო ფეხზე წამოიჭრა. ეს ყურისმომჭრელი ხმები ხეობიდან მოისმოდა. ქვემოდან, ერთი ჩაბნელებული ადგილიდან; ეს იყო მწყობრი და კარგად დაგეგმილი ადგილი: ლაბირინთივით დაქსელილი; ქალაქი, ოღონდ გალავნებით შემოზღუდული; ხმები ხეობიდან, მისი საკუთარი დიდი სასახლის გულიდან მოდიოდა, რომელიც აქამდე ჩაბნელებული იყო, მაგრამ სულ რალაც რამდენიმე წამში, ვიდრე უყურებდა და ბუკის ხმა მოესმა, რომელიც განმეორდა, მას სხვა ბუკის ხმებიც შეუერთდა და უფრო და უფრო ყურისმომჭრელ ხმებს შეერწყა, სიბნელემ ძალა დაკარგა და ჩირაღდნებისა და სანთლების შუქით განიმსჭვალა. სინათლეებიდან ზოგი მბჟუტავი იყო, ზოგიც მიმომქროლავი, გეგონებოდათ, მსახურები დაქრიან დერეფნებში ბატონების ბრძანებების შესასრულებლად; ზოგიც – მაღალი და გაბრდღვიალებული, ისეთი, ცარიელ საბანკეტო დარბაზებში რომ

დაანთებენ ხოლმე სტუმრების მოლოდინში, რომლებიც არ ჩანან; სხვები ძირს ეშვებოდნენ, ირხეოდნენ, ანდა ქრებოდნენ ან კვლავ ჩნდებოდნენ, თითქოს მსახურთა ლაშქარს ეპყრა ხელში, ხან რომ დაიხრებიან, მუხლზე დაიჩოქებენ, წამოინევენ, სტუმრებს ეგებებიან, თანხლებას უწევენ და ღრმა პატივისცემითა და ღირსებით განმსჭვალულები შემოუძღვებიან დიდი ხელმწიფის ასულს, რომელიც მსუბუქი ეტილიდან ჩამობრძანდება. ეტლებმა შემოუხვიეს და სასახლის შიდა ეზოში შემოგრიალდნენ. აელვარდნენ ცხენების ფაფარში შებმული ჯიღები. დედოფალი მობრძანებულიყო.

ორლანდომ ჭვრეტა შეწყვიტა. შურდულივით დაეშვა ბექობზე. უკანა ჭიშკრით შეძვრა ეზოში. ბაკაბუკით აირბინა ხვეული კიბე. თავის ოთახში შევარდა. წინდები იატაკის ცალ მხარეს მიყარა, მოკლე ქურთუკი მეორე მხარეს მიაგდო. თავი წყალში ჩარგო. ხელები გაიხეხა. ფრჩხილები დაიჭრა. სულ რაღაც ექვსდუიმიანი სარკით და ორად ორი ჩამდნარი სანთლის დახმარებით ფოლოსფერი ბრიჯის, მაქმანის საყელოს, ტაფტის ჟილეტის მორგებას და ორი გეორგინისხელა როზეტებიანი ფესხაცმელების ჩაცმას ათ წუთზე ნაკლები მონდომა, თუ საჯინბოს საათს ვენდობით. და, აი, მზად იყო. ლოყები აღენვოდა. აღტყინებული იყო, მაგრამ საშინლად დაიგვიანა.

მისთვის ნაცნობი მოკლე გზით გადაირბინა უთვალავი უშველებელი ოთახის წყება და კიბეებით დაეშვა საბანკეტო დარბაზისაკენ, ხუთი აკრის სავალზე სახლის მეორე ნაწილიდან. მაგრამ იქ, სადაც მსახურები ცხოვრობდნენ, ნახევარგზაზე შეყოვნდა. მისი სტიუკლის მისაღები ოთახის კარი ღია იყო – უეჭველია, ქალბატონის მისახმარებლად იქნებოდა გასული მთელი გასაღებების აცმით ხელში. მაგრამ იქ, მსახურების სასადილო მაგიდასთან, გვერდით მიდგმული ლუდის მაღალი ტოლჩით და წინ გაშლილი სანერი ქალაღდით, იჯდა ვიღაც უცნობი, მსუქანი, ღარიბული იერის მამაკაცი, რომელსაც უხეში, შინაქსოვი ტანისამოსი ეცვა და ოდნავ ჭუჭყიანი საყელო მოუჩანდა. ხელში კალამი ეპყრა, მაგრამ არ წერდა. ეტყობა, რაღაც ფიქრს აწვალედა გონებაში, ატრიალებდა, სანამ სათქმელს სასურველ ფორმას არ მოუნახავდა. გაფართოებული თვალები, უცხო მწვანე ქვევით დანისლული, ერთი წერტილისთვის მიეპყრო სივრცეში. ორლანდო